ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ზაალ მამალაძეს

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის

ირაკლი კუჭავას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

განკარგულების პროექტი „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" შემუშავებულია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად(წესდება თან ერთვის).

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია საკრებულოს თანხმობით კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ; სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნებაში მონაწილეობისა და მათში გაწევრების შესახებ. საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" ამოქმედების შემდეგ, აუცილებელი გახდა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი ბექა შენგელია.

მუნიციპალიტეტის გამგებელი: *ირაკლი კუჭავა*

პროექტი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის -ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ"

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად

საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებელს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" (ს/დ242008787) წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და წესდება ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის)
2. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროექტი მოამზადა – ბექა შენგელიამ

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“

წ ე ს დ ე ბ ა

დ. ჩოხატაური

2015 წელი

დამტკიცებულია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის

გამგებლის 2015 წლის ---- ---------

------ 6 ------

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის–ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“

წ ესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“ (შემდგომში „ცენტრი“) არის საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. „ცენტრი“ თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.

3. „ცენტრს“ აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებაში და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

4. „ცენტრი“ მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხმებით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, შეუძლია გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში.

5. „ცენტრიში“–ს საქმისწარმოება არის ქართულ ენაზე.

6. „ცენტრი“–ს დამფუძნებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი.

7. „ცენტრის“ მისამართია: დ. ჩოხაური დუმბაძის ქ. №20.

8. □ცენტრის□ ელ–ფოსტა: 1. ნატოჯიბუტი@ბკრუ 2. რუსიკო.სიხარულიძე@მაილო.რუ

მუხლი 2. „ცენტრის“ ამოცანები

ცენტრის ამოცანებია:

1. ეპიდზედამხედველობის განხორციელება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ავადობის აქტიური გამოვლინება და დაავადებების აღმოცენების მიზეზების და რისკ–ფაქტორთა დადგენა.

3. სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ანალიზი, ავადობის გრძელი და მოკლევადიანი პროგნოზირება.

4. მოსახლეობისათვის ეპიდკეთილსაიმედო მდგომარეობის უზრუნველყოფა.

5. გარემოს პროფილერ ფაქტორთა მონიტორინგი.

6. გადამდები და არაგადამდები დაავადებების ეპიდემიოლოგიის შესწავლა.

7. ავადობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება–მიწოდება, ანალიზი და სამედიცინო სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდება დადგენილი წესით.

8. გადამდები /განსაკუთრებით საკარანტინო/ დაავადების ეპიდკონტროლის განხორციელება, მათი აღმოცენების, გავრცელების შეზღუდვა, სათანადო ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზაცია და გატარება.

9. საკარანტინო, განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა ბუნებრივი რესურსების შესწავლა და მათზე ეპიდზედამხედველობაში სათანადო სამსახურების საქმიანობის ხელშეწყობა და კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა.

10. სამედიცინო დაწესებულებებში ეპიდრეჟიმის კონტროლი, მონიტორინგი, საავადმყოფოს შიგა ინფექციების პროფილაქტიკის ხელშეწყობა.

11. პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულების ორგანიზაცია და მონიტორინგი.

12. ცხოვრების ჯანსაღი წესის, მავნე ჩვევათა და საერთოდ ქცევითი დამოკიდებულების კორექცია ჯანსაღ უნარჩვევათა განვითარების ფორმირების და დამკვიდრების მიზნით ადგილობრივი მასობრივი საინფორმაციო საშუალებით და სხვა სპეციფიური ღონისძიებით ფართო სააგიტაციო პროპაგანდისტული მუშაობის ორგანიზაცია–წარმართვა.

13. ადმინისტრაციული ერთულის მოსახლეობისათვის დაავადებათა პროფილაქტიკის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, შესაბამისად პროფილაქტიკური პროგრამების პროექტირება, პროგნოზირება.

14. ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამისთვის პროექტების შედგენასა და დამტკიცებაში მონაწილეობა.

15. მოსახლეობასა და მიზნობრივ ჯგუფებში /ინვალიდები, დევნილი მოსახლეობა და სხვა/ ფსოქო–სოციალური დახმარებების ხელშეწყობა.

16. პირველადი ჯანდაცვის სპეციალისტთა საქმიანობის ხელშეწყობა.

17. საექთანო საქმიანობის ორგანიზება და ხელშეწყობა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დონეზე.

18. პირველადი ჯანდაცვითი რესურსების ორგანიზაციულ–სამართლებრივი თვალსაზრისით ოპტიმიზაციის ხელშეწყობა.

მუხლი 3. „ცენტრის“ უფლება–მოვალეობანი

1. ეპიდსიტუაციის, სახელმწიფო /ცენტრალური, მუნიციპალური/ პროგრამათა მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიწოდება მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის.

2. სამოქმედო ტერიტორიაზე თვალყურის დევნება საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და ცალკეული მოქალაქეების მიერ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესრულებისადმი.

3. თავისი კომპეტენციის ფარგლებში იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ინფექციურ დაავადებათა შემოტანისა და გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების გაკონტროლება.

4. ეპიდსაწინააღმდეგო და შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზაციულ მმართველობით გადაწყვეტილების პროექტების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება.

ცენტრს უფლება აქვს:

ა)დააყენოს საკითხი ზემდგომ ორგანოებში სამოქმედო ტერიტორიაზე მოსალოდნელი ან არსებული ეპიდსიტუაციის გართულების შემთხვევაში მუშაობის და ყოფის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლის შესახებ.

ბ)ორგანიზაცია გაუწიოს „ცივი ჯაჭვის“ სისტემის დაცვით იმუნოპროფილაქტიკის, ბაქტერიული და ვირუსული პრეპარატების შენახვას და ტრანსპორტირებას.

გ) გაატაროს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისა და ჯანმრთელობის ხელშემწყობი ღონისძიებები სამოქმედო ტერიტორიაზე.

დ)ორგანიზება გაუკეთოს კონფერენციებს, სემინარებს ეპიდსიტუაციის, პრევენციის და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების და სხვა პირველადი ჯანდაცვის საკითხებზე.

ე) იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში.

მუხლი 4. „ცენტრის“ საქმიანობის ორგანიზაცია და სტრუქტურა

1. „ცენტრის“ დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. „ცენტრის“ დირექტორი:

ა) წყვეტს სამსახურის საქმიანობის სფეროსათვის წესდებით მიკუთვნებულ საკითხებს.

ბ) მოქმედებს ცენტრის სახელით, წარმოადგენს ცენტრს ორგანიზაციებთან ურთიერთობისას.

გ) ამტკიცებს ცენტრის შინაგანაწესს.

დ) მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს ცენტრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

ე) იღებს გადაწყვეტილებებს ცენტრისთვის განკუთვნილი ფინანსური სახსრების ზუსტად და მიზანმიმართულად გამოყენებაზე.

ვ) ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის გამგებლის წინაშე.

ზ) ასიგნების ფარგლებში მიღებული საბიუჯეტო შემოსავლებით ვალდებულია უზრუნველყოს სამსახურის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, მომუშავეთა მატერიალური სტიმულირება და სოციალური დაცვა კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

მუხლი 5. „ცენტრის“ ქონება, დაფინანსება და ანგარიშგება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად ცენტრს უნარჩუნდება შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. „ცენტრის“ დაფინანსების წყაროებია:
   ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები.

   ბ) სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული დაფინანსება.

   გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. მე–2 მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას, ცენტრის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.
4. „ცენტრი“ ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო–ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა–ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.
5. „ცენტრის“ ბალანსს ამოწმებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ მოწვეული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 6. საქმიანობა რომელიც საჭიროებს თანხმობას

„ცენტრს“ შეუძლია მხოლოდ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგის და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 7. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1.ცენტრის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას ახორციელებს გამგებელი საკრებულოს თანხმობით საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

\2. „ცენტრის“ ლიკვიდაციის შემთხვევაში მის ბალანსზე არსებული ქონება გადადის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

მუხლი 8. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

„ცენტრის“ წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ.

დასკვნა

განკარგულების პროექტის თაობაზე

„არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54 – ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტთან, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის გამგებელი საკრებულოს თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

პროექტი ასევე შეესაბამება ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტთან, რომლის თანახმადაც საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული

განყოფილების უფროსი : *ბექა შენგელია*